საინფორმაციო ბიულეტენი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე
№5. 2016; სექტემბერი/ოქტომბერი

სარჩევი:

* სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში - საქართველო
* მედია - ჩვენზე
* საერთაშორისო ამბები

სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში - საქართველო

გადაცემა ,,ალტერნატიული აზრი“

ასოციაცია „ჰერა XXI“-ეს ინიციატივით ტელე-სტუდია ,,რეპრო სტუდიო“ დაფუძნდა. სტუდიის მიერ მომზადებული გადაცემის სახელწოდებაა ,,ალტერნატიული აზრი“. გადაცემაში პროფესიონალების მიერ განიხილება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. „ალტერნატიული აზრი“ 2016 წლის 3 სექტემბრიდან, ყოველ შაბათს, 18:00 საათზე, ტელეკომპანია ,,აფხაზეთის ხმაის“ ეთერით გადის.

ნუ გაათხოვებთ მცირეწლოვან ქალებს

“ნუ გაათხოვებთ მცირეწლოვან ქალებს“ პლაკატი დაბეჭდილია 1928 წელს, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის მიერ.

კომისია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით დაარსდა. მის დანიშნულებას წარმოადგენდა ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, დედებისა და ბავშვების დაცვა, მარტოხელა ქალებისათვის თავშესაფრის მოწყობა, ქალებისათვის განათლების მიღებაში ხელშეწყობა და სხვა. კომისია ბეჭდავდა პლაკატებს, რომელიც ასახავდა და ეხმაურებოდა ქალთა იმდროინდელ ყოფას.

აღნიშნული პლაკატი გამოყენებულია ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის თანამშრომლის, ელენე გელაშვილის მოხსენებაში „ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში“

„კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ თანახმად, მამების 13% იშვიათად, ხოლო 6% - არასოდეს ესაუბრება თავიანთ მოზარდ შვილებს პრობლემების შესახებ.

გამოკითხულთა 65% ფიქრობს, რომ ქალმა უნდა მოითმინოს შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი.

საქართველოს მოსახლეობის 88.5 % ფიქრობს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა.

ვიდეოს სანახავად გადადით მისამართზე -

https://www.youtube.com/watch?v=zDMT6NmeBcg

Gynuity Health Project-ის საერთაშორისო კონფერენცია

Gynuity Health Project-მა 22-23 სექტემბერს ქ. თბილისში საერთაშორისო კონფერენცია ჩაატარა თემაზე - მედიკამენტოზური აბორტი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომელსაც ასოციაცია „ჰერა XXI“ ესწრებოდა. Gynuity Health Project არის სამეცნიერო კვლევითი და ტექნიკური დახმარების ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება იდეას - ყველა ადამიანს ჰქონდეს წვდომა სამედიცინო მომსახურეობაზე. ორგანიზაციის მიზანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის ტექნოლოგიები უფრო მოსახერხებელი, მისაღები, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი იყოს. Gynuity Health Project-ის მუშაობა საქართველოში მიმართულია მედიკამენტოზური აბორტის ხელმისაწვდომობაზე, რადგან მედიკამენტოზური აბორტი ბევრად უსაფრთხოა და ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს. Gynuity Health Project მუშაობს, როგორც საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვეთში, უკრაინასა და უზბეკეთში.

26 სექტემბერს მსოფლიო კონტრაცეფციის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს

26 სექტემბერს მსოფლიო კონტრაცეფციის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას სადაც ყველა ორსულობა იქნება სასურველი, თავიდან იქნება აცილებული დაუგეგმავი ორსულობა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

უკვე მერამდენე ათწლეულია, რაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია კონტრაცეფციის შესახებ რჩევებს აწვდის მთელ სამყაროს. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენების აუცილებლობა უკვე უდავოა. ისეთი მოდური მოვლენაც კი, როგორიც ოჯახის დაგეგმვაა, კონტრაცეფციის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 26 სექტემბერი კონტრაცეფციის საერთაშორისო დღეა, 28 სექტემბერი კი ლეგალურ აბორტზე ხელმისაწვდომობის დღე - ოჯახის დაგეგმვის ამ ორ მნიშვნელოვან თარიღს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰერა XXI“-ემ ,,ალტერნატიული აზრის“ მორიგი გადაცემა მიუძღვნა, სადაც ექსპერტებმა და სპეციალისტებმა ისაუბრეს კონტრაცეფციაზე, როგორც აბორტის ალტერნატიულ მეთოდზე.

მედია - ჩვენზე

“ვისაც ფული აქვს, არასრულწლოვნის ცოლად მოყვანის გამო საპროცესო გარიგებას აფორმებს და პრობლემაც მოგვარებულია”

„2 წლის წინ რუსთავის პოლიციაში დამიბარეს. არასრულწლოვანი, 14 წლის გოგო გაგიტაცებია და ახალი კანონის მიხედვით უნდა დაგაპატიმროთო. ბოლოს მითხრეს, მოიტანე 3 ათასი ლარი და შენი საქმე დავხუროთო. დაპატიმრებას ისევ ფულის გადახდა ვამჯობინე. ციხეში რომ წავსულიყავი, ოჯახს ვიღა მიხედავდა? ჩვილი ბავშვი მყავს! შემეშინდა, გარდა ამისა, 3000 ლარზე ნაკლები არც პატიმრობა დაჯდებოდა“, - ამბობს ზაური (სახელი შეცვლილია). ის რუსთავში ცხოვრობს და ეთნიკური აზერბაიჯანელია. ზაურს მის მიერ გატაცებულ 14 წლის გოგონასთან უკვე 1 წლის და 2 თვის ბავშვი ჰყავს.

მასალის ვრცლად გასაცნობად ეწვიეთ ბმულს:
http://liberali.ge/articles/view/24776/visats-fuli-aqvs-arasrultslovnis-tsolad-moyvanis-gamo-saprotseso-garigebas-aformebs--da-problemats-m

დროა ქალებმა ხმა ამოვიღოთ, ისე, რომ ყველამ გაიგოს

გააღეთ პოლიციაა. კარი იღება. კარის უკან დგას ახალგაზრდა კაცი. საშუალო წონის და სიმაღლისა. ამან როგორ უნდა გცემოს - მეფიქრება, მაგრამ შემდეგ მახსნედება საკუთარი ცხოვრებიდან ეპიზოდი, როცა ხაფანგში აღმოვჩნდი:

მასალის ვრცლად გასაცნობად ეწვიეთ ბმულს: http://liberali.ge/blogs/view/24570/droa-qalebma-khma-amovighot-ise-rom-yvelam-gaigos



საერთაშორისო ამბები

28 სექტემბერი უსაფრთხო ლეგალურ აბორტზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო დღეა.



2011 წელს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ქალთა საერთაშორისო კავშირმა 28 სექტემბერი ქალების, განსაკუთრებით კი -განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელთა საერთაშორისო თანადგომის დღედ დაადგინა.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე მეტი აბორტი კარიბის ზღვის კუნძულებზე ტარდება(65 ათასი ქალი), ხოლო ყველაზე ნაკლებად ჩრდილოეთ ამერიკაში (17 ათასი ქალი). კვლევის შედეგებს ჟურნალი Lancet-ი ავრცელებს.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში დაახლოებით 65 მილიონი აბორტი ტარდება და განვითარებად ქვეყნებში ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტის მაჩვენებელი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა.

კერძოდ, თუ 1990 წელს მდიდარ ქვეყნებში ათასი ქალი 46 აბორტს იკეთებდა, 2014 წელს - მხოლოდ 27 აბორტის შემთხვევა დაფიქსირდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აბორტების რაოდენობის შემცირება ძირითადად კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობამ გამოიწვია.

ამავდროულად, განვითარებად ქვეყნებში აბორტების ჩატარების მაჩვენებელი არ შეცვლილა და საშუალოდ 1000 ქალი დაახლოებით 37 აბორტს იტარებს. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, განვითარებად ქვეყნებში აბორტის კრიმინალიზაცია პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს მათი რიცხვის შემცირებაზე.

მკლევარებმა დაასკვნეს, რომ მსოფლიოში ყოველი მეოთხე ფეხმძიმე აბორტს იტარებს და მათი უმრავლესობა გათხოვილი ქალია.

პოლონეთი აბორტის სრულად აკრძალვას აპროტესტებს

პოლონეთის თითქმის ყველა ქალაქში საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა. აქციის მონაწილეები კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიან, რომლის ინიციატორი პოლონეთის მმართველი პარტია „უფლება და სამართლიანობაა“, ინიციატივის თანახმად ქვეყანაში სრულიად იკრძალება აბორტის გაკეთება, მათ შორის მაშინაც კი როდესაც ორსულობა დედის ან ნაყოფის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, გაუპატიურების შემთხვევაში.

ორშაბათს, სამ ოქტომბერს პოლონეთში “შავი ორშაბათია” გამოცხადებული – კანონპროექტის პროტესტის ნიშნად ქალები სამსახურებში არ გამოცხადდებიან.

მრავალრიცხოვანი აქციების ფონზე მიმდინარეობდა აბორტის სრულად აკრძალვის საკანონმდებლო ინიციატივისთვის ხმის მიცემის პროცედურა, რომელიც პროტესტანტების გამარჯვებით დასრულდა და პოლონეთის პარლამენტმა აბორტის სრული აკრძალვის კანონმდებლობას მხარი არ დაუჭირა. 450 დეპუტატიდან 345-მა კანონმდებელმა მისცა ხმა. აბორტის სრული აკრძალვის მომხრე მხოლოდ 58 დეპუტატი აღმოჩნდა.

3 ოქტომბრის წარმატების მიუხედავად „შავი პროტესტის“ მეორე ტალღა დაიწყო მას შემდეგ რაც პოლონეთის მმართველი პარტიის „უფლება და სამართლიანობის“ ლიდერმა განაცხადა, რომ მისი პარტია გააგრძელებს მცდელობებს გაამკაცროს კანონი აბორტის შესახებ, პროტესტანტები აცხადებენ რომ ქალთა უფლებები კვლავ საფრთხის წინაშეა.

ასოციაცია ჰერა XXI-მა „შავ პროტესტში“ მონაწილეობა მიიღო

ASTRA Network-ის წევრმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს „შავი პროტესტის“ მეორე საპროტესტო ტალღაში ვარშავაში, სადაც ყოველწლიური სემინარი მინდინარეობდა ქალთა უფლებების ადვოკატირების თემაზე.

ASTRA Network-ის მისიაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქალთა რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა. ASTRA Network 1999 წელს შეიქმნა და მასში გაერთიანებულია 20 ქვეყნის 37 არასამთავრობო ორგანიზაცია, 10 წელზე მეტია ASTRA Network-ის წევრი ორგანიზაციაა ასოციაცია “ჰერა XXI “, რომელიც 15 წელზე მეტია ხელს უწყობს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების წინ წამოწევას საქართველოს მოსახლეობაში. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ქალბატონი ნინო წულეისკირი შეურთდა პოლონეთში მიმდინარე „შავ პროტესტის“ აქციას რომელიც მიზნად ისახავდა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დაცვასა და რეალიზებას.

11 ოქტომბერი გოგონების საერთაშორისო დღეა

ეს დღე გაეროს ინიციატივით აღინიშნება 2012 წლიდან. ორგანიზაცია მოზარდ გოგონებს მხარდაჭერას უცხადებს და მიმართავს: „ყოველი თქვენგანი მნიშვნელოვანია!“ ყოველ წლიურად გოგოების საერთაშორისო დღეს, მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნები ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ ადგილობრივ სოციალურ ჯგუფებში არსებულ პრობლემებზე.

ასოციაცია ჰერა XXI უერთდება გოგონების საერთაშორისო დღის აღნიშვნას, მხარს უჭერს განათლების თანაბარ შესაძლებობასა და გენდერული თანასწორობას!

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მე-5 შეხვედრა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დასაცავად კრიზისულ სიტუაციებში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

ყველა ქვეყანას აქვს საგანგებო და საომარ მდგომარეობაში სამოქმედო გეგმა. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა - სხვადასხვა სფეროს შესაბამისი უწყებები კურირებენ. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ხშირად ხდება ბუნებრივი და ტექნოგენური, სხვადასხვა სახის კატასტროფები, ეპიდემიები, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლების კეთილდღეობას და გადარჩენის შანსს, განსაკუთრებული რისკის ქვეშ ქალები და ბავშვები არიან. ასეთ სიტუაციებში მოსახლეობისთვის დროული და ადეკვატური სამედიცინო სერვისის მიწოდებაზე ჯანდაცვის სამინისტროა პასუხისმგებელი. თუმცა საინტერესოა რამდენად არის ადაპტირებული უწყების სამოქმედო გეგმაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა - კრიზისების დროს?!

2011 წლის ნოემბერს სტამბულში Global IAWG მე-13 ფორუმზე შეიქმნა (EECA IAWG) უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დასაცავად კრიზისულ სიტუაციებში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. EECA IAWG FORUM არაფორმალური პლატფორმაა, რომელშიც იღებენ მონაწილეობას არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე.

საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის ევროპის ქსელისა (IPPF) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით განხორციელდა რიგით მე-5 EECA IAWG ფორუმი, რომლის წევრი ორგანიზაციაა ასოციაცია “ჰერაXXI”. 18-20 ოქტომბერს კიევში შეიკრიბა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმსჯელა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე კრიზისულ სიტუაციებში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

აღნიშნულ კონფერენციას ესწრებოდა ასოციაცია „ჰერა XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი ნინო წულეისკირი - ,,ყველა ქალს, ახალგაზრდა გოგონას აქვს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით საგანგებო და კრიზისულ მდგომარეობაში. ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ეპიდემიების და სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმების დროს მატულობს ძალადობის ფაქტები, აგრესიულობის ფონი იზრდება და ხშირია სექსუალური ძალადობის შემთხვევები. სამწუხაროდ ამ პროცესების პირველი მსხვერპლები ქალბატონები, ხშირად კი არასრულწლოვანი გოგონები არიან. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ გავითვალისწინოთ საუკეთესო ევროპული პრაქტიკები, მოვახდინოთ მათი ადაპტაცია ქართულ რეალობასთან. საგანგებო სიტუაციებში, სამწუხაროდ, ხშირია: სქესობრივი ძალადობა, თვითნებური აბორტები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელება- ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში საჭიროა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რეპროდუქციულ სერვისების მინიმალური პირველადი მომსახურების პაკეტი და მოხდეს ამ გეგმის ინტეგრირება კრიზისების დროს მოქმედების საერთო გეგმაში - აცხადებს ასოციაციის ჰერა XXI-ეს აღმასრულებელი დირექტორი ნინო წულეისკირი.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე 2017 წლისთვის, სადაც გაწერილია რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური, თანმიმდევრული და კოორდინირებული ქმედება სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დასაცავად.

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია ასოციაცია ჰერა XXI-ეს მიერ

დაგვიმეგობრდით სოციალურ ქსელ Facebook-ში და გაიგეთ მეტი ყოველდღიურ რეჟიმში
Association Hera XXI